ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95232861**

თარიღი:**13/10/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 10 (ათი) წლის ვადით, თხოვების ფორმით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

№	მოძრავი ქონების დასახელება	მარკა	ტიპი	მოდელი	სატრ.ს აშ. საიდენტიფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის ნომერი	სატრ. საშ. გამოშვების წელი	რეგისტრაციის თარიღი	სატრ. საშ. მესაკუთრე	მაქსიმალური სიმძლავრე (კვტ)	საწვავის ტიპი	ფერი	საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	ექსკავატორ-დამტვირთველი	CUKUROVA	ექსკავატორ-დამტვირთველი	888	CMI888APH3HDA0095	BB831G	2023	29/09/2023	ქედის მუნიციპალიტეტი ს/კ 246762061	74.5	დიზელი	ყვითელი 6/8	247 247	

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.

3.განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი